მსახურების შესყიდვის ხელშეკრულება N 34

ქ.თბილისი 11 სექტემბერი 2019 წ

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის თინათინ ალავიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „კოკენი“ (ს/კ 206052028 მისამართი: თბილისი შარტავას ქუჩა 37), (შემდგომში - მიმწოდებელი) მისი დირექტორის გიორგი ღოღობერიძის სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1.ხელშეკრულების საგანია სასკოლო ჟურნალის გადასაკრავები (შემდეგში „საქონელი“). (CPVკოდი: 22800000) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2.შესყიდვის ობიექტის რაოდენობა - 90ცალი.ერთი ცალის ღირებულება 4,00ლარი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. შესასყიდი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს 360,00 (სამასსამოცი) ლარს და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

3.1.1. ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

3.1.2. ხარვეზის შემთხვევაში უზრუნველყოს უხარისხო პროდუქციის ჩაცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

3.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

3.2.1. მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და ჯეროვნად შესრულება, კერძოდ:

- შემსყიდველს მოსთხოვოს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

3.2.2. ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შემსყიდველისაგან მოითხოვოს საქონლის ღირებულების დროულად გადახდა.

3.3. შემსყიდველი უფლებამოსილია:

3.3.1 მოითხოვოს მიმწოდებლისაგან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა, კერძოდ:

- მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული საქონლის დროულად და ხარისხიანად მოწოდება.
- ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

3.4. შემსყიდველი ვალდებულია:

- ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და პირობებით გადაუხადოს შემსრულებელს საქონლის ღირებულება.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სკოლის დირექტორი.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. მომსახურების მიღების ადგილი და ვადა

4.1. საქონლის მიღების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი - ქ. თბილისი, მუხიანი მე-3 მიკრორაიონი N175 საჯარო სკოლა.

4.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდება უნდა უზრუნველყოს მიმწოდებელმა ხელშეკრულებაზე მხარეთა მიერ ხელმოწერიდან ორი კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 5. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

5.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ - ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი მარინა კუხალაშვილი.

5.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე საქონლის ხარისხის შემოწმებას.

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს და შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების შექმნის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

9.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით.

მუხლი 11. სხვა პირობები

11.1.ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მუხლი 12. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ - ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლა	შპს „კოკენი“
ს/კ 200087191	ს/კ 206052028
მის. : ქ. თბილისი, მუხიანი მე-3 მკრ	მისამართი: ქ. თბილისი შარტავას ქუჩა 35/37
ტელ: 264 53 07	ტელეფონი: 599 510338
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს ,,თიბისი ბანკი“	სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი:TBCBGE22	ბანიკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE94TB7230734020100001	ა/ა GE62BG0000000123412600
დირექტორი	**დირექტორი**
თინათი ალავიძე	გიორგი ღოღობერიძე

Giorgi Gogoberidze

Digitally signed by Giorgi Gogoberidze
Date: 2019.09.11 17:48:42 +04'00'